შეხვედრის ოქმი
12 აპრილი, ახალციხე
USAID დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ ახალციხეში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა რუსუდან მიხელიძემ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა სულხან სალაძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთა ზუსტი სია და მათი რეზიუმეები გამოქვეყნდეს და გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი. შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობის სურვილია ადგილობრივმა თვითმმართველობებმა აიღონ მოსახლეობის ინფორმირების პასუხისმგებლობა: გააცნონ მათ სიახლეები, მიმდინარე რეფორმები, არსებული სერვისები და დაგეგმილი ღონისძიებები ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა მეთოდით, ვინაიდან ინტერნეტდაფარვა ჯერ კიდევ პრობლემური საკითხია რეგიონებში.

- შეხვედრის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მაღალია სახელმწიფო სერვისებზე დაწესებული საფასურები და საჭიროა მათი გადახედვა. როგორც შეხვედრის მონაწილეები ამბობენ, მაღალი ტარიფები აბრკოლებს სხვადასხვა სერვისის სწრაფად და ეფექტურად მიღების შესაძლებლობას.

- შეხვედრაზე განხილულ იქნა დაგეგმილი საჯარო სამსახურის რეფორმა. დამსწრეთა უმრავლესობა დადებითად აფასებს საჯარო სამსახურის მიერ შექმნილ ვებგვერდს (www.hr.gov.ge), თუმცა მიიჩნევს, რომ საჭიროა თითოეული კონკურსის დასრულების შემდგომ ამავე ვებგვერდზე გამოქვეყნდეს საკონკურსო პოზიციაზე შერჩეული პირის(ების) ვინაობა და ინფორმაცია მათი კვალიფიკაციის შესახებ. შეხვედრის მონაწილეები თვლიან, რომ აღნიშნული გაზრდის საჯარო სამსახურის გამჭვირვალობას და აამაღლებს საზოგადოების ნდობას მის მიმართ.

- შეხვედრის მონაწილეები მიესალმებიან თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის შექმნის გეგმას და მიაჩნიათ, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების გამართული ონლაინ სისტემის (www.declaration.gov.ge) არსებობა არ არის საკმარისი და უფრო მეტიც, აღნიშნულის ფუნქციონირება აზრს მოკლებულია დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის არსებობის გარეშე.

- შეხვედრის მონაწილეთა სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაბალია საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა პროცესებში. დაბალია ასევე მათი ცნობიერების დონე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. ამ პრობლემის ერთ-ერთ გადაჭრის გზად მათ ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტ მომსახურების გავრცელება მიაჩნიათ, რათა საზოგადოება იყოს ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში და შესაბამისად გაჩნდეს მათში მეტი სტიმული და გაიზარდოს ჩართულობის ხარისხი.